ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №592271

ნომერი: AR1111508

თარიღი : 22.02.2013

გაცემის თარიღი : 15.03.2013

გაცნობის თარიღი : 26.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წულუკიძის 6 / ქალაქი თბილისი , ქუჩა წულუკიძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა ჩხეტიანი პ/ნ 01024042546
- თბილისი საბურთალოს ქ. N 55 ბ. 20

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ვარკეთილი 2011" კოდი: 406043482

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 11 სექტემბრის #340409 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 22 თებერვალს AR1111508 განცხადებით მომართა მოქ. ლეილა ჩხეტიანმა და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 11 სექტემბრის #340409 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, კონფიგურაციისა და საკადასტრო კოდის შეცვლის გამო.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. #6–ში მდებარე მიწის

ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობის (სასტუმრო) რეკონსტრუქციის მიზნით 11.09.2012წ. #340409 გადაწყვეტილებით გაიცა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა 6420 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: #01.17.10.012.077. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერითა და საკადასტრო გეგმით ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი შემცირდა და დღეის მდგომარეობით შეადგენს 1496 კვ.მ.–ს, საკადასტრო კოდით: #01.17.10.012.091.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.09.2012წ. #340409 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართად დაფიქსირდეს – 1496 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს 01.17.10.012.091.
2. 11.09.2012წ. #340409 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882012808228, ამონაწერის მომზადების თარიღი: 24.09.2012 წ. საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 18.09.2012 წ. საკადასტრო კოდი #01.17.10.012.091, ფართობი: 1496კვ.მ);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.09.2012წ. #340409 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.